

## საქართველოს კანონი

### „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

**მუხლი 1.** „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურის შესახებ“ საქართველოს კანონის („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ №14 , მუხ. 50) პირველი მუხლის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) უიმედო სესხი – სასესხო დავალიანება, რომელიც ვერ დაიფარება სასესხო დავალიანების ამოღების უზრუნველსაყოფად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იძულებითი ხასიათის ღონისძიებების განხორციელების შედეგად, ამასთანავე, საწარმო ამოღებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ან/და ლიკვიდირებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს 2009 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი